პარასკევი, 1918 წ. აგვისტოს 9 № 143
წელიწადი მეორე

პარასკევი, 1918 წ. აგვისტოს 9 № 143
ფასი 40 კაპ.

63

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ც ი ა.
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ პირადათ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.
რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა.
გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.
კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, ტბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

გულდათუთქული სოფიო დიმიტრის ასული გლუშკოვისა აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 4 აგვისტოს დღით კვირას საღამოს 8 საათზე ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უძვირფასესი მეუღლე

პროვიზორი დავით ვასილისძე გლუშკოვი

რომელსაც გაასვენებენ ხონს 8 აგვისტოს დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევს 3 საათზე, დაკრძალვა დანიშნულია 10 აგვისტოს (ახალი სტილით) დღით შაბათს ნაშუადღევს 4 საათზე ხონის მაცხოვრის ეკლესიაზე. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, ქ. ხონში აფთიაქი. 4—2

4 აგვისტოს დღით კვირას საღამოს რვა საათზე ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
პროვიზორი
დავით ვასილის ძე გლუშკოვი.
რასაც მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და პატივცემულ საზოგადოებას პროვიზორები სპირიდონ გიორგის ძე ნიჟარაძე და იასონ კონსტანტინეს ძე გრიგოლაშვილი. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე. ქ. ხონში აფთიაქი. 3—2

ღრმად დამწუხრებულნი ძმები მიხეილი და ვლადიმერი, რძლები ნინო და ტატიანა და დისწული ლადო ზუბენკო აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას
პროვიზორის
დავით ვასილის ძე გლუშკოვისას.
პანაშვიდი ყოველ დღეს საღამოს ექვს საათზე. ქ. ხონში აფთიაქი. 3—2

ღრმად დამწუხრებული სიმამრი დიმიტრი ბარქაია, სიდედრი ელენე ბარქაიასი, ქვისლები ბაგრატ იოსელიანი და მიხეილ დევიძე, ცოლის დები ლიზა იოსელიანისა, ალექსანდრა დევიძისა და მაშულია ბარქაია აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას პროვიზორის
დავით ვასილის ძე გლუშკოვის
პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს ექვს საათზე ქ. ხონში აფთიაქი. 3—2

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ქუთაისის მაზრის ექიმი ალექსანდრე გრიგორისძე დევიძე; სიდედრი კამილა ევგენის ასული ტიხონოვისა; დები: ქსენია, ანნა და გალინა ალექსანდრე ტიხონოვის ასულნი; შვილები ევგენია და ალექსანდრე დევიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას
ევგენია ალექსანდრეს ასულის დევიძისას
დაკრძალვა მოხდება 9 აგვისტოს (ახალი სტ.) დღით პარასკევს ნაშუადღევს 4 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ ფრანცოვის ქ. ფარნაოზ გაბუნიას სახლიდან და გაასვენებენ არქიელის გორაზე ღვთის მშობლის ეკლესიაზე, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე 1—1

# სია № 2

**საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის საერობო კანდიდატებისა, ქ. ქუთაისიდან, ქუთაისის მაზრაში.**

1. **წერეთელი** ვასილი გიორგის ძე — ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, პუბლიცისტი, ექიმი, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი.
2. **ჯაფარიძე** ტრიფონ მიხეილის ძე — გაბრიელის ქალთა გიმნაზიის გამგე, პუბლიცისტი, პედაგოგი, ეთნოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე.
3. **ნაზაროვი** დიმიტრი ალექსანდრეს ძე — ექიმი, ექიმთა პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარე.
4. **საყვარელიძე** ალექსანდრე სვიმონის ძე — საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, ნაფიცი ვექილი.
5. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე — პუბლიცისტი, პედაგოგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
6. **ჩიქოვანი** ილია მანუჩარის ძე — ქუთაისის სახაზინო პალატის უფროსი.
7. **ფალავანდიშვილი** ვასილ ივანეს ძე — საგუბერნიო აგრონომი.
8. **ელიგულაშვილი** არონ იაკობის ძე — კომერსანტი.
9. **პურადიშვილი** ივანე ისააკის ძე — აზოვ-დონის კომერციულ ბანკის ქუთ. განყოფილების გამგე, დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარე.
10. **ბარათაშვილი** გრიგოლ საჩინოს ძე — ნაფიცი ვექილი.
11. **ბასილაძე** ტროფიმე ლუკას ძე — კომერსანტი.
12. **დგებუაძე** გრიგოლ ძერაზის ძე — მღებავი.

საყურადღებო **განცხადება!**

საჭიროა ერთი გაზეთის დამტარებელი და ერთიც კანტორაში მომუშავე ყმაწვილი. პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ჩვენი ქვეყნის" კანტორაში.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის" კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდათ ან უთავდებათ დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## განცხადება.

„ქართული საავტომობილო და სააქციონერო საზოგადოება"
ეს საზოგადოება შესდგა 1918 წ. ქ. ქუთაისში.

მისი მიზან-დანიშნულებაა, მოაწყოს სრულიათ საქართველოს იმ კუთხე-მხარეებში სადაც რკინის გზები და ავტომობილები არ არის საბარგო და სამგზავრო

ა ვ ტ ო მ ო ბ ი ლ ე ბ ი ს მ ი მ ო ს ვ ლ ა,

რათა მძიმე აუტანელ მდგომარეობიდან იხსნას ხალხი.

საზოგადოებას ძირითადი თანხა ამ ჟამათ 300,000 მანეთამდის აღწევს. საზოგადოებამ თავისი წესდება თანახმათ გამოსცა ყველასათვის ხელმისაწდომი 500-500 მანეთიანი აქციები და მსურველს შეუძლია მისი სყიდვა-შეძენა შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი. 1) რუსის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების კანტორაში პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი კ. ქუთათელაძესთან 9—1 საათ. 2) ქუთაისის საურთიერთო ბანკის გამგეობის წევრთან პ. უზნაძესთან 9—1 საათ. 3) საწყობი ხე-ტყის ორთქლით სახერხ ქარხანაში, ბალახვანის ქუჩა, კ. დათეშიძესთან.

**საზოგადოების უმთავრესი დამაარსებელნი:** დომენტი ოტიას ძე ბენდუქიძე, მალაქია გლახუას ძე ნატბილაძე, იაკინთე გიორგის ძე ჯებაშვილი, გიორგი ალექსანდრეს ძე ქარსიძე, გენადი გიორგის ძე ალავიძე და ვლადიმერ მალაქიას ძე ჯაფარიძე. 4—1

# დღეს.

**წერილები.**

ვასილ წერეთელი.—კონსტიტუციონური გარანტიები.
—საპასუხო.

——

ფელეტონი კ. კაპანელი.—რუსთაველი და დანტე, ლ. მაჭავარიანის თარგმანი რუსულიდან.

——

მ. ბუაჩიძე.—მასწავლებელთა კურსებზე.

**ცნობები.**

საერობო არჩევნები 18 აგვისტოსათვის გადაიდო. 250 ათასი მანეთის გატაცება. რუსეთის ამბები და სხვა.

## კონსტიტუციური გარანტიები.

ცუდი პირობები დაუდგა ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუციის შედგენის საქმეს.

მთიულთა, ოსთა, ლეჩხუმისა და ზოგიერთი სხვა კუთხის აჯანყებათა გამო საქართველოს დიდი ნაწილი სამხედრო ბანაკად გადიქცა. და იქ, სადაც ზარბაზნების გრიალია, სამოქალაქო თავისუფლებათა შესახებ ლაპარაკიც კი მეტია.

და, უეჭველია, ეს გარემოება რესპუბლიკის კონსტიტუციას თავის დაღს დაასვამს.

ყველა სამხედრო გუნებაზეა და ამბობს: რა დროს კონსტიტუციური გარანტიებია, როდესაც ქვეყანა იქცევა?

და სამართლის ნორმების დარღვევაში ყველას გაასწრეს სოციალისტებმა.

გაიხსენეთ მათ მიერ მიღებული „სიკვდილით დასჯის კანონი" რომლის მოქმედებაც წინადროზედაც გაავრცელეს.

გაიხსენეთ მთავრობის მიერ დანიშნულ კომისრების თვითნებობის აუარებელი მაგალითი, რაც ანარქიის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს.

გაიხსენეთ აგრეთვე შეუზღუდველი უფლება, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრსა და ეგრეთწოდებულ „კონტრევოლუციასთან მებრძოლ რაზმს" გადაეცათ.

დაუმატოთ ამას კიდევ გუბერნიის კომისრები, რომელნიც თვით მართველობის გარეშე დგანან, და მათს განკარგულებაში მყოფი მფრინავი რაზმები. და დარწმუნდებით, რომ საქართველოში დღეს კონსტიტუციური გარანტიები აღარ არის.

და ბევრს ასეთი წესი ნორმალურად მიაჩნია.

მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს დიდი შეცდომაა. ბრძოლამ ჩაგვითრია და ზომიერების საზღვარს გადაგვაცილა. და მართვა-გამგეობის ძველი სისტემის აღდგენა, რესპუბლიკის ნორმალურ განვითარებას უეჭველად ხელს შეუშლის.

აჯანყებულთა მიმართ მიღებული სასტიკი ზომები ბრძოლის დროს ცხელ კვალზე—აუცილებელია, ვინაიდან ამას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ, სადაც აჯანყება არა ყოფილა ან უკვე ჩამქრალა, იქ კი მართვაგამგეობის ნორმალური წესი უნდა დამყარდეს, ე. ი. სამართლის სასწორმა უნდა შეცვალოს ხმალი და თვითმართველობამ სამხედრო, ბიუროკრატიული გამგეობა.

სოციალისტების მთავრობას ხალხისადმი ნდობა აღარ აქვს და გუბერნიის კომისრებს თვითონ ნიშნავს.

სამაზრო კომისრებს ხალხი ირჩევს, მაგრამ გუბერნიის კომისარი ამტკიცებს.

ამგვარად გუბერნიის კომისარს, ხალხის მიერ არ არჩეულს, ეძლევა ძალაუფლება ძველის ბიუროკრატიული წესით.

ამავე დროს გუბერნიის კომისარის ხელშია მთელი ადმინისტრატიული გამგეობა.

ერთი სიტყვით ძველი, ბიუროკრატიული წესი თითქმის სავსებით აღდგენილია.

მაშასადამე თვითმპყრობელობითი და სოციალური სისტემები მართვა გამგეობისა—ერთმანეთს ენათესავებიან. რატომ? მიტომ, რომ, როგორც თვითმპყრობელობის, აგრეთვე სოციალისტების მთავრობა კლასთა ბრძოლის საფუძველზე აგებული არიან. კლასთა ბრძოლას კი—სამხედრო ბიუროკრატიული ორგანიზაცია მოსდევს შედეგად.

სოციალისტები ჩვენ, ეროვნულ-დემოკრატებს, ბურჟუაზიულ პარტიად გვნათლავენ. მათ, როგორც კლასთა ბრძოლის პარტია, ყველა სხვა პარტიაც უთუოდ რომელიმე კლასის განსაკუთრებული ინტერესების დამცველად და მოსარჩლედ მიაჩნიათ.

მაგრამ, მათი შეხედულება რომ მართალი ყოფილიყო, დედამიწის ზურგზე არსად სახელმწიფო არ აშენდებოდა.

ყოველი მთავრობა, როგორიც უნდა იყოს იგი, იძულებულია ყველა კლასის ინტერესები დაიცვას. თუ კი მთავრობა ამ თავის დანიშნულებას ცუდად ასრულებს იბადება ანარქია.

მაშასადამე ეროვნულ დემოკრატიული პარტია არის სახელმწიფოებრივი, ეროვნული და დემოკრატიული. იგი ყველა კლასის ინტერესებს თანაბრად იცავს და თვითეული კლასის ინტერესებზე სახელმწიფოებრივს, ეროვნულ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს.

ამიტომ ჩვენი პარტია ერთი მხრით მომხრეა იმის, რომ მთავრობამ სასტიკი ზომები იხმაროს იმ მოქალაქეთა წინააღმდეგ, რომელნიც არ ასრულებენ თავის მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ საჭიროდ სთვლის იმავე დროს, რომ სახელმწიფომ უზრუნველჰყოს თვითეულ მოქალაქის პირადი ხელშეუხებლობა და კერძო საკუთრება, ე. ი. ის სამოქალაქო უფლებანი, რომელთაც ეგრეთწოდებული „ჰაბეას კორპუს აკტ" ეწოდება.

ამისთვის კი აუცილებელია არა მარტო სასტიკი, არამედ სამართლიანი ადმინისტრაცია, არა მარტო რევოლუციური ტრიბუნალების, არამედ ჩვეულებრივის, ნორმალური სასამართლოების მოქმედება, არა მარტო ბიუროკრატიული ზედამხედველობა, არამედ საქალაქო და სასოფლო თვითმართველობა და არა მარტო რეგულიარული ჯარი და სამხედრო დისციპლინა, არამედ სამოქალაქო თავისუფლებანი და კერძო ინიციატივა.

ერთი სიტყვით მოქალაქეს უნდა ჰქონდეს სახელმწიფოებრივ მოვალეობასთან ერთად სამოქალაქო უფლებათა გარანტიაც. მხოლოდ მაშინ იქნება ის თავის სამშობლოს დამოუკიდებლობისა და სამოქალაქო უფლებათა ერთგული მცველი და დარაჯი.

**ვასილ წერეთელი.**

## საპასუხო.

„ხალხის მეგობარი", ხვ... ოსავს, სისინებს, მხამს ანთხევს და ცდილობს საფარი მისცეს თვის ოდესღაც ბოლშევიკებისადმი გუნდრუკის მკმევ თავს.

როგორ ხმამაღლა გაჰკიოდა მთელ საქართველოს სივრცეზე ყოველგვარ ტაციაობისა, ანარქიული ყოფვისა ექსპროპრიაციის იდეებს, რომ ფრთა-გაეშალა იმ სამოქალაქო ომს, რომელშიაც ლამის არის ჩაიხრჩოს სუვერენობა საქართველოს რესპუბლიკისა და დღეს ეს პარტია თავის ორგანოს ფურცლებზე არ დაგიდევს სხვა უმსგავსო ცილის წამებასთან ერთად ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სამშობლოს მოღალატეთ გამოაცხადოს. ამ სისაძაგლეშიაც რასაკვირველია საკუთარი შემუშავებული აზრის თქმასაც აბა როგორ დაკიდევენ და ისე, „მეგობრულათ", მომავალ სამხედრო მინისტრის ვალ. ჯუღელის საბჭოს სხდომაზე ტრაფარეტულათ წამოსროლილ სიტყვებს იმეორებდენ.

„ხალხის მეგობრის" მოწინავის დამწერი გადადის თავის „წერილის" მეორე ნაწილზე და ეროვნულ-დემოკრატების შესახება სწერს:

„ეს პარტია, თუ კი შეიძლება, ასე ვუწოდოთ, საქართველოზე ლაპარაკობდა, მისთვის, სიტყვით ყველაზე უფრო მებრძოლი იყო. ყველას ფლიდობას და ორგულობას უკიჟინებდა და ერთად ერთი

## რუსთაველი და დანტე.*)

**კ. კაპანელი.**

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევს მე-12 საუკუნე

ამ საუკუნეში ევროპამ აამღერა მთელი რიგი პოეტებისა. და ამ სიტყვამ მოგვცა საკაცობრიო თვალსაზრისით, რომ ვიხელმძღვანელოთ, ფრიად შესანიშნავი პოეტური ნაწარმოებნი:

ხსენებულ საუკუნეში, საფრანგეთში იწყებს ამეტყველებას შესანიშნავი ეპიკური პოემა „როლანდის სიმღერა.

გერმანეთში ჰყვავის და იფურჩქნება ხალხური მითოლოგია.

რუსეთში უსახელო და უცნობ ავტორის მიერ ითხზება „სიტყვა იგორევის პოლკზე".

ბიზანტიელი ქრონიკორები სასულიერო თემებიდან სწერენ სხვადასხვა ამბებს;

ქართველი ერის ცეცხლეული გენია, ინდივიდიალიზაციის წვაში, შოთა რუსთველის სახით ჰქმნის მრავალფეროვნებითსა უცხოო ლექსებს „ვეფხისტყაოსანში".

დასასრულ, ნაზი სილურჯე ფლორენტიის ცისა, დანტეს სახით გვაძლევს „ღვთიურ კომედიას."

საშუალო საუკუნეთა შეგრძნეული სიწყვდიადე; ჩვენებათა დემონიური სულისა, მაღალი ციხე-კოშკისა, ქვეყნიურ შემოქმედებათა ლანდებისა, დაბინდულ ტაძრების თაღებისა, ბოროტი სულებისა, აცეცხლდა ადამიანის შემოქმედების წვით და ქვეყანა სისხლისა, და ბოროტებისა იქცა ნათელი და სხივმოსილ ქვეყანათ-ესთეტიურ ფენომენად;

შავ კლდეთა ნაპრალები ეზიარენ ნაზი სიყვარულით, მთები და ხეობები სილოგიზმებიდან და არისტოტელის ლოღიკის კათეგორიებიდან განთავისუფლდა გრძნობა

ლოცვებით მოქანცული სული, გამხიარულდა.

საუკუნოებრივი მოქანცულობა განისაზღვრა შემოქმედებითი სახელით და გულის მრავალ საუკუნოებრივ დათენთილობამ თვისის სიღრმედან აღმოხეთქა კოსმიური მეტაფორი და ელვის სისწრაფით გაკვეთა მან სევდინი ქვეყნის ღამის ღრუბლები, დააფრქვია უსაზღვრო სივრცეს სათუთ გრძნობათა და განცდათა ნაზი ცრემლები.

გაითბო მან პლანეტთა შორის ცივი სივრცე სფერო და მოიყვანა რიტმიულ ამოძრავებაში მსოფლიოს ყველა ნაწილი, თვითეულს არსს შეასისხორცა და შეადუღა სიყვარული და ჰარმონია.

საშუალო საუკუნოების სივრცეზე მზეთ ანათებს და ბრწყინავენ შოთა რუსთაველი და დანტე ალიგიერი.

პირველი აბრწყინდა და შეიმოსა სხივებით აღმოსავლეთში;

ხოლო მეორემ გაარღვია ვიწრო, კედლები კატოლიციზმისა და ლამაზათ ამღერდა სიყვარულზე ერთ საუკუნის შემდეგ რუსთაველზე.

მაგრამ სევდა მისი მარადიულობაზე იყო ძლიერი ვით სიკვდილი.

პირველი იწოდა მზიურ სიყვარულით და სიყვარულით განამტკიცა ცხოვრების მარადიულობა ადამიანში;

მეორესაც უყვარდა და სიყვარულით მიისწრაფოდა მარადისობისაკენ;

პირველმა თვისის სულის აცეცხლებულ ფიქრებით მოჰქარგა და სრულჰყო თვისი პოემის გმირები და ამიტომ ისინი სუნთქავენ ცეცხლეულ სიყვარულით.

მეორე სათუთ გულის ცემით ჰქმნიდა ერთს მოლინდუშულ სახეს მთელს სიცოცხლეში და მიტომაც ჩვენება იგი, რაღაც საიდუმლოა და სათუთი.

პირველი იქანცებოდა ტანჯვა-წამებით, მაგრამ ამ ტანჯვა წამებით, იგი უახლოვდებოდა საყვარულის გამთბარ გულს.

მეორეც იქანცებოდა ვნებით და ამ ვნებაში, ყოველთვის სჭრეტდა სიყვარულის ნიშნებს და ბედნიერობდა.

პირველი იყო სიყვარულის სულის შემცნობი პსიქოლოგი;

მეორე მისი არ ცნობილი კანონ მდებელი.

პირველს ყოველ წუთს ეშლებოდა თვალწინ მოლოდინობა ორგანიულ უსაზღვროებით.

მეორეს სიყვარული დაჟინებით მიუხმობდა ბრძნეულ სიშორეთა მარადიულ ქალურობისა და ალერსისაკენ.

პირველი სიყვარულში ეძებდა კოსმოსს,

მეორე კოსმოსის დაუსრულებლობაში ეძიებდა თვის ვნებიან სიყვარულს.

რუსთაველი და დანტე ორივე იყო მომღერლები სიყვარულისა და მარადიულ ქალურობისა.

მაგრამ პირველისათვის გარდაქმნა სიყვარულმა ქვეყნიური ცხოვრება ესთეტიურ ფენომენად, ხოლო მეორესათვის ფენომენად მისტიურ ჭვრეტისა.

პირველი იყო ელლინელი სულის მატარებელი ამ სიტყვის სრულის მნიშვნელობით;

მეორე—მისტიკი—რაციონალისტი;

ამიტომაც შემოქმედება პირველის იწვის მარადიულ სიახლით.

ხოლო მეორესი, მისტიური სიცივით.

„ვეფხვის ტყაოსანიც" იგივე ხალისით იკითხება, როგორც „ილიადა".

სულის სილამაზე და მღელვარება ადამიანის გრძნობისა უკვდავებით ზიარებულია ხელოვნებაში.

„ღვთაებრივი კომედია" სავსეა ღრმა ფილოსოფიურ აზრებით და გრძნობით. იგი ნაზია ისე, ვით ბეატრიჩე, მაგრამ ამ სინაზითვე ცივობს და მძაფრობს მისტიურობა თვით ბეატრიჩეს სახით.

სიყვარულის სტიქია შეიცნობა რუსთაველის პოემაში როგორც დასაწყისი ბუნების ძალთა შემოქმედებისა და როგორც ცეცხლური სიმბოლო მარადიულ ნეტარებათა, ცხოვრების მარადიულ დღესასწაულში.

სიყვარულის სტიქია „ღვთაებრივ კომედიაში—შეიცნობა, როგორიც სტიქია რელიგიურ—მისტიური, ადამიანის სულის სევდიანობის დასაწყისი და მარადიულ სიყვარულით გაუკვდავებული ქალურობა.

რუსთველის სიყვარული,—სიყვარული სულისა იწვის მზიურ სილამაზით, ორგანიულ ძლიერებით და უსაზღვრო მოქანცულობით.

დანტეს სიყვარული, სიყვარულია წამებულ სულის გაუკვდავებისა.

სიყვარულის პრობლემა რუსთველის პოემაში უფრო ადვილათ არის გადაჭრილი, ვიდრე დანტეს „ღვთაებრივ კომედია"-ში.

რუსთაველმა აღადგინა განსაზღვრული დამოკიდებულება სიყვარულსა და შეგნებას შორის:

ამ დამოკიდებულების კონკრეტულ სახეებათ ჩვენ მიგვაჩნია მისი პოემის გმირები.

ტარიელი და ავთანდილი განხორციელებანი არიან ეროტიზმისა, ავთანდილი და თინათინი დასაწყისი არიან ინტელექტუალობისა.

მსოფლიო ლიტერატურაში ჩვენ არ ვიცით ასეთი ხერხით და კონკრეტულათ—მხატვრულად შეწაწევრება ორ გა-

*) ეს წერილი ეკუთვნის კ. კაპანელს, ამოღებულია მისი წიგნიდან „ტანჯვა და შემოქმედება" (страданіе и творчество) თარგმნა რუსულიდან ლ. მაჭავარიანმა. **რედ**

„რეალისტებათ“ (?) თავის თავს ასაღებდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ წაუკრავთ მათ ცხვირი და ბევრჯერ ეს ,,რეალიზმი'' (?) ჰაერში გამოკიდებული დარჩენილა. მათი ,,ზეკლასიურობა'' უბრალო ხარისხის პროვოკაციამდე დასულა. ერთხელ სიტყვა საქმეზედ დადგა, საქართველოს მოყვარე და მტერი უნდა გამოჩენილიყო. ამ დროს ნაც. დემ. რა ქნეს? ჩადგნენ მებრძოლთა პირველ რიგში საქართველოს მტრების წინააღმდეგ? გვერდში ამოუდგნენ ჩვენს ისედაც მრავალ-რიცხოვან მტრის მქონე მთავრობას? მათ ამ დროს სწორეთ პილატეს როლი იკისრეს. ხელი დაიბანეს და განზე დადგნენ, ,,ოპოზიციონერებათ'' მოგვევლინენ.''-ო

ვანუგეშებთ ეროვნულ საბჭოს ოპოზიციის მიერ მრავალ უმგვანოებათა მხილებით შეშფოთებულ, საქართველოს მთავრობის „ერთგულ“ პარტიას და ვეტყვით, რომ დიახ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დღიდან თავის გაჩენისა, საქართველოზე და მხოლოდ საქართველოზე ლაპარაკობდა; მისი სრული განთავისუფლებისათვის ყოველ ქართველს უყიოდა; შეუსვენებლივ მუშაობას აწარმოებდა როგორც აქ, ისე საზღვარ გარეთ; საქართველოს, მტრებს მიუხედავათ თეკლათელების ხელის შეშლისა ყოველ გზაჯვარედინზე ამხელდა და ამხელდა იმ ხალხსაც, რომელიც რუსეთის „რევოლუციონურ“ დემოკრატიასთან ერთად „რევოლუციონურ დემოკრატიულ ფრონტს“ აკოწიავებდა: და თუ ვინ წაკრა ცხვირი და ვინ დარჩა ჰაერში გამოკიდებული ამას ყველაზე უფრო განსაკუთრებით „საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის“ დღევანდელი მდგომარეობა გვიჩვენებს

ხოლო ჩვენი მუშაობის შესახებ ჩვენ არც ვვიყვირია და მგონია არც ვიყვიროთ, იმიტომ რომ არ გვინდა თქვენსავით დასავლეთ აფრიკაში მყოფ სინგის დედოფლის მდგომარეობაში ვიგრძნოთ ჩვენი თავი, რომელიც მასთან მოსულ მისიონერებს ეუბნებოდა ქვეყანა ჩემმა წინაპრებმა შექმნა.

გვიკიჟინებენ: „თქვენ არ დგეხართ მებრძოლთა რიგშიო“ და ჩვენ უნდა განვაცხადოთ რომ ეგ საშინელი პროვოკაცია, რომელსაც არც ერთი ჰკუათმყოფი ქართველი არ იკადრებს. ხოლო უნდა დაუმატოთ, რომ თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ ნაწილს საქართველოს მტრების წინააღმდეგ მომქმედ ჯარისას, რომელშიაც ჩვენი პარტიის წევრები არ ერიოს. შორს ნუ წავალთ. მიდით თვით სოსო გედევანიშვილთან და ის თქვენს გესლით სავსე თვალებს დაანახვებს, რომ მის რაზმშიც კი ურევია ეროვნულ-დემოკრატი.

რაც შეეხება მთავრობაში მოქმედებას ჩვენ გვითქვამს და ეხლაც კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ჩვენი ოპოზიცია თავისი საზღვრებს არასოდეს არ სცილდება და თუ „კონსერვებისა“ ან სხვა უმგვანო „სოციალისტური“ ექსპერიმენტებისათვის გამხელთ ხოლმე, ეგ საჭიროა, ვინაიდან ამას გვავალებს სუვერენობა და ბატონობა საქართველოსი. ისე კი, მიბრძანდით და ნახეთ თუ როგორ მუშაობენ ეროვნულ-დემოკრატები სხვადასხვა კომისიებში, როგორ იკავენ საჭირო კანონებს და როგორ შეაქვთ თავისი წვლილი საერთო საქმის აღორძინება-განმტკიცებაში. და როცა სწერთ „მათ ხმას ვერ მისცემს ქართველის (?) მატარებელი, რადგან ის უკვე ქართველი არ არის, ვინც ქართველ ერს ზურგს უკან მახვილსა სცემს“-ო, გეკითხებით ჩვენ: „ნუ თუ მართლა ისე დაკარგეთ პატივისცემა სხვებისადმი, რომ ასე უსაბუთოთ, „მეგობრულათ“ ამგვარი უმგვანო და უზრდელი სიტყვების გავრცელებას ხელს უწყობთ?“

დიახ, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ არ მოგვცემს ხმას. თქვენ მიერ (უფრო კი დღევანდელი თქვენი უფროსების, ხოლო საერთოთ კი ორივეს მიერ) მოწამლული „რევოლუციონური დემოკრატია“, მაგრამ ჩვენ ღრმად ვართ იმაში დარწმუნებული, რომ თავის დროზე, თავის სუვერენობისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი სახის გამოკვეთის აუცილებლობის შემგნები ქართველი დემოკრატია თქვენ გამხელთ და ექსორიის გიყოფთ.

---

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

შაბათს, აგვისტოს 10, საღამოს სრულ 7 საათზე, წმიდა ნინოს სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია პარტიის წევრთა

# საერთო კრება

მოხსენებას წაიკითხავენ საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი ვასილ წერეთელი და ალექსანდრე თოჲაძე.

ყველა წევრის დასწრება აუცილებელი და სავალდებულოა.

საგუბერნიო კომიტეტი.

---

# საქართველო.

## მთავრობის მოქმედება.

მთავრობამ დაადგინა თბილისის ქართული უნივერსიტეტი გადაკეთდეს სახელმწიფო უნივერსიტეტად და ეწოდოს „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. უნივერსიტეტის ხარჯთაღრიცხვა უდრის 289,000 მანეთს.

— მთავრობის დადგენილებით წითელი ჯვრის ყოველივე ქონება გადასცეს შესანახად მიმწოდებელ კომიტეტს.

— ფინანსთა მინისტრის წინადადებით მთავრობამ დაადგინა, რომ საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმის კომიტეტში მიღებულ იქმნენ ორი წარმომადგენელი ქართულ-გერმანული სავაჭრო პალატისა.

## ფულის გატაცება.

4 აგვისტოს, ნატანებიდან მიმავალ სამჯავრო—ავტომობილს, რომელსაც ჰქონდა მგზავრებთან ერთათ ფოსტაც, თავს დაესხა 6 შეიარაღებული ავაზაკი. ფოსტას მოჰქონდა 250,000 მან. ფული რომელიც ეკუთნოდა ოზურგეთში დაბანაკებულ მეოთხე პოლკს. ფოსტას რომ ფული მოჰქონდა, ამის შესახებ არავითარი გაფრთხილება არ ჰქონია არც ფოსტის უფროსს და არც მილიციას. ავაზაკებმა ფოსტა წაიტაცეს და სროლის დროს მოკლეს ოთხი: გუგუნავა, მამულაიშვილი მახარაძე და ტულუში. ამასთანავე დაიჭრა ორი. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მცხოვრებლებს, რომელთა დახმარებით ალყა იქნა შემორტყმული 25 ოთხ-კუთხ კვადრატიულ ვერსის მანძილზე. აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის მხრით, ჯურუყვეთიდან დაწყებული ძიმითის, ნაგომარის, ბასილეთის, ასკანისა და ბახვის საზოგადოების მოვლით, აჭარის ქედამდე და დასავლეთ ჩრდილოეთით რკინის გზის გასწვრივ მდინარე ჩოლოქამდე. მეოთხე პოლკის ნაწილებმა და მფრინავმა რაზმებმა სამაზრო მთავრობის ხელმძღვანელობით დაიწყო სოფლების ჩხრეკა და ტყეების დათვალიერება. იმავე დღეს, მიაგნეს სკოლის შენობაში მიმალულს ერთ ავაზაკს, რომელმაც ტყვიები დაუშინა მაზრის კომისარის თანაშემწეს ლომაძეს, მაგრამ მილიციელებმა და ჯარის კაცებმა იქვე მოჰკლეს ავაზაკი, რომელიც აღმოჩდა ვინმე მიქაბერიძე. შემდეგ მიაგნეს მეორე ავაზაკს რომელიც მოკლულ იქნა 6 აგვისტოს. დაიჭირეს კიდევ ორი ავაზაკი. ერთ მოკლულთაგანს აღმოაჩდა ნაწილი განატაცებ ფულისა. ამ საქმის გამო დააპატიმრეს ნატანების ფოსტის მოხელე ჰყონია, რომლის სახლში იმალებოდა მოკლული მიქაბერიძე. ქუთაისიდან 5 აგვისტოს გაიგზავნა სისხლის სამართლის მილიციის უფროსი თავის თანამშრომლებით და ლამით საგანგებო საქმეთა გამომძიებელი უსტინოვი.

---

მოუცნობ ფენომენისა, ადამიანის პსიქოლოგიისა—სიყვარულისა და შეგნებისა.

ეს ორი დასაწყისი რუსთველში ურთიერთს ავსებენ:

როცა სიყვარულის ინსტიქტი ვერ პოულობს გამოსვლას, როცა ნება მოკლებულია ძალას მიაღწიოს სასურველ მიზნამდე, როცა მტირალი ეროსი გზა აბნეულია ცხოვრების სიდუმლოება მდინარის პირად არის, მაშინ ჩნდება შეგნება და ელვის სისწრაფით ანათლებს ცხოვრებას.

ინტელექტუალობას გამოჰყავს ინსტიქტი ცხოვრების საშინელ მწყვდიადით.

ავთანდილი ეს კონკრეტული სახეა მარადისობის აბსტრაქტულ დასაწყისიდან თვისის ინტუიციის ფრენათა სიძლიერით.

იგი თვისის ღვთიურის ჩვენებით უახლოვებს მიზანს წამებული ტარიელის „მეს“ მეორე ნახევარს.

ავთანდილი მეტაფიზიკური დამთავრება ტარიელის ინდივიდუალობისა.

ასევე თინათინიც მეტაფიზიკური დამთავრებაა, ნესტან დარეჯანის პიროვნებისა.

შეგნება ავსებს და სრულჰყოფს ინსტიქტს ადამიანის პიროვნების შექმნისათვის.

ტარიელს სიყვარულის ცეცხლი უკიდია და იწვის ამ ცეცხლით მთელი მისი არსება. იგი სიყვარულით დამბლა დაცემულია. ნება მისი იძირება განცდათა საშინელ ტალღებში. სიყვარულით წვის საშინელი უსაზღვროება ფარავს შეგნებას.

ერთი ეუფლება გმირის მთელს არსებას და სული მისი იწვება წამებით. იგი შორდება ცხოვრებას, ადამიანთა ხმაურს, საზოგადოების სულელურსა და უაზრო მღელვარების, მის ინტრიგას, ხალხთა მეშჩანობასა და წვრილმანობისგან, რომ ბუნების წიაღში ჰპოოს სულის სიმშვიდე და შეიმსუბუქოს თვისი ტანჯვა, დასტკბეს მცენარეთა და ყვავილთა ლამაზ სუნთქვით გამოქვაბულის პირად, რომელსაც გარს არტყია საუკუნოებრივი სიძველის ხეები. ან და ცელქ მდინარის პირად მოისვენოს, რომელიც ეთამაშება თვის მკერდში ჩამარხულ ცისფრათ მომღიმარე ლამაზ კენჭებს.

მაგრამ ქალური სილამაზე პირველყოფილ ბუნებისა სახეს ცრულის ფიქრებში ქალწულებრივ სიყვარულს ნესტანისას და ელვათ გამოკრთომა კოსმიურ ნეტარებათა მრავალფეროვნებისა, ეკვეთება ტარიელის თვალთახედვას და ღრმად იმარხება მის გულში ნესტან-დარეჯანის მზიანი სახე და ოქროს ნემსებით სხივლეტს მის არსების წუთიებს.

ტარიელს უყვარს, და რამდენათ ძლიერია სიყვარული მისი, იმდენათ სუსტია მასში შეგნება სიყვარულისა, რაც პსიქოლოგიური თვალსაზრისია;

მაგრამ შეგნება ამის აუცილებელია, რომ დაუახლოვდე სიყვარულის საგანს და სძლიოთ ყოველგვარი წინააღმდეგობანი ცხოვრებისა, დამცინავი ბედისა.

ამ მხრივ ტარიელის დამხმარეთ გამოდის ავთანდილი, სრულყოფილი ცოდნითა და გამოცდილობით. ეს კონკრეტიული ინდივიდუალობის სიმვოლო, შეგნებისა, სურვილის ძალით იმარჯვებს იგი ინსტიქტზე, ცხოვრების წინააღმდეგობაზე.

თითქმის ამგვარ იგივეობას ვხედავთ ჩვენ, დანტეს პოემაშიც, როცა მოლილი მგოსანი აწყდება მთელს რიგს დაბრკოლებათა, როცა იგი დაახლოვებულია სიმვოლიურ მთას, ხედავს მრავალ ურჩეულ რებათ, რაც სიკვდილით ემუქრება მას. როცა მას გარს შემორტყმიან მხეცები, და აღარ იცის რა ჰქნას ამ დროს მასთან საშველად მოდის ძველი რომაელი მწერალი ვირგილი, აღსავსე ცოდნით, გამოცდილებით და სიბრძნით, და მიჰყავს იგი სიყვარულისაგან თავბრუდასხვეული იქ, სადაც სიკეთესა და სილამაზეს შორის ბრწყინავს დედოფლური მშვენიერება ბეატრიჩესი;

ავთანდილმა იხსნა ტარიელი რჩევა დარიგებით; იგი აგროვებს ჯარს მეფე ფრიდონის დასახმარებლად, რომ ნესტანდარეჯანი განათავისუფლონ, თვითონაც მონაწილეობს, ქაჯებთან ბრძოლაში.

ვირგილი ამშვიდებს დანტეს, და იხსნის მას სიკვდილისაგან და მრავალ საშიშროებისაგან. იგი გაარონიებს, დანტეს ჯოჯოხეთს, ამ მარადიულ წამებას სიმბოლოს, დარიგებას აძლევს მას და აფრთხილებს. აცნობს მკვდრის იმ ადგილს, საიდანაც მოსჩანს ბეატრიჩეს სახე.

ფსიხოლოგიური მხარე დანტეს პოემის ფარულისა და მისი შინაგანი სიმვოლიკა განსაცვიფრებელათ გვაგონებს პსიხოლოგიურ მხარეს რუსული პოემის ფარულისას და მისი შინაგან სიმვოლიკას.

მსგავსება ავთანდილისა და ვირგილიის შორის, ეს მზგავსება მეტაფიზიკური და პსიქოლოგიური კი არ არის, არამედ, სიტუაციური და პსიქოლოგიური ხდება მხოლოდ თვისის სიტუაციონობით.

მოგზაურობა, შეხვედრა მხეცებისა ათასგვარი ხიფათი, რომელიც ხვდათ ორთავე პოემის გმირებს, განცდაც ერთ გვარი სიმვოლიური სინამდვილით არის გამოხატული ორივე პოემაში.

რა თქმა უნდა, რომ დანტესთვის უცხო იყო რუსთაველი, და უეჭველია ისიც, რომ რუსთაველს არ შეეძლო სცოდნოდა დანტე.

ამ პოემათა შორის ჩვენ გაგვყავს პარალელი და უსვამთ ხაზს საკაცობრიო სინამდვილის შეგუებას საშუალო საუკუნოების მატერიულ ტეხნიკასთან და სიმვოლიზმთან ერთად.

ჩვენი ასოთ მჭამლები, მხედველობიდან უშვებენ ინტუიტიურ მხარეს. ვერ არიან საგრძნობლად დაინტერესებულნი მხატრული შემოქმედების პსიქოლოგიური შეგრძნობით, და მის მაგივრათ, რომ ღრმად იხედებოდენ შემოქმედების განცდის სულსა და გულში, დაძვრებიან, სადღაც მტვერიან არქივებში.

თავის თავად ცხადია, რომ არქივები სასარგებლოა მაგრამ მარტოოდენ არქივებზე, დაყრდნობა შორს ვერ წაგვიყვანდა.

პირადათ ჩვენთვის, რუსთაველის პოემა სავსეა დამთავრებულ აზრთა სიმვოლოთი ისე როგორც პოემა დანტესი.

ორგანიულათ რუსთაველის პოემა ეკუთვნის მეთორმეტე საუკუნეს; ამას მოწმობს პსიქოლოგიური ფაქტორი, მსოფლიო ლიტერატურაში და მრავალგვარი ზღაპრები ,,ვეფხვის ტყაოსანზე'' შექმნილნი შემდეგ პოემისა.

არსებობს მეცნიერული შარლატანობა მოუმწიფებელი ,,შკოლნიკებისა'', რომელთაც თვისი დასაწყისი ციურ სწავლისა და მისტიფიკატოსობისა, აწუხებდენ ოდესღაც ლანდებს შექსპირისას და ჰომეროსისა.

ისტორიკოსი უნდა სცდილობდეს ისტორიულ მოვლენათა შეცნობას ორის გზით: პირველ ყოვლისა მომხდარ ფაქტის სწორისა და შეუბრალებელის კრიტიკულის გამოკვლევებით. და მეორე: გამოკვლევათა პსიქოლოგიური შეცნობათა განსაზოგადოებრიობის იმ ხარისხს, რომელიც პირველის გზით ვერ იქნა მიღწეული. ისტორიული სინამდვილე ბოლოს და ბოლოს ისტორიოსოფიული სინამდვილეა: თუ ქვეყნად არ არსებობდა ჰომეროსის ინდივიდუალობა, ჰომეროსი, როგორც პიროვნება შემოქმედი იყო და იქნება შემდეგაც, რადგან კაცობრიობამ

# უცხოეთი.

## რუსეთი.

**ახალი კაბინეტის შესახებ.**

მოსკოვში ხმები დადის, რომ მალე კერენსკის მეთაურობით შესდგება ახალი მთავრობა.

ამ დღეებში პარიზს მივლენ დროებითი მთავრობის წევრები ნიკიტინი, ტერეშჩენკო და ეფრემოვი. აგრეთვე ხსენებული მთავრობის ელჩები სტახოვიჩი, მაკლაკოვი და ნაბოკოვი.

**ამერიკა და რუსეთი.**

ამერიკას გადაუწყვეტია რუსეთის საქმეებში ჩაერიოს. ამ დღეებში ხარბინში მოვა ამერიკელთა ერთი კორპუსი, რომელიც იაპონელებთან ერთად გამოვა რუსეთის წინააღმდეგ.

**კადეტთა მთავრობის დაპატიმრება.**

პეტროგრადში ბოლშევიკებმა დააპატიმრეს კადეტთა ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობა. დაპატიმრებულია აგრეთვე ყოფილი მინისტრი კიშკინი.

# ახალი ამბავი

## ქუთაისი.

✦ **საერობო არჩევნების გადადება.** სამაზრო საერობო კომიტეტმა ერობის არჩევნები მთელ მაზრაში როგორც ქ. ქუთაისში ისე რაიონებში საერობო არჩევნები 18 აგვისტოსათვის გადასდო.

✦ **მატარებლის დაგვიანება.** გუშინ თბილისის მატარებელი დილით ქუთაისში არ მოსულა. სადგურის უფროსის გადმოცემით მატარებელი უნდა მოსულიყო გუშინ საღამოთი.

✦ **სააქციონერო საზოგადოებ.** თბილისის ქართველთა სავაჭრო კავშირმა დაარსა 2 სააქციონერო საზოგადოება პირველი თუთუნის ქარხნის მოსაწყობად, მეორე კი სხვა წვრილი საქონლისათვის.

✦ **ხხვადასხვა ფრონტებიდან.** გუშინ ცნობები არ მიგვიღია.

✦ **ჰაეროპლანები.** 7 აგვისტოს საღამოთი ჩვენი ჰაეროპლანები ლეჩხუმისაკენ და სამეგრელოსაკენ გაფრინდა. დაზვერეს საოპერაციო ადგილები, ყუმბარები გაისროლეს და უკანვე დაბრუნდენ. 8 აგვისტოს დილით ჰაეროპლანები ხელმეორეთ გაფრინდენ.

✦ **ქუთაისის სახაზინო.** პალატა ქალაქის თვითმართველობას სთხოვს რათა ქალაქის საბჭომ განიხილოს საკითხი წყალგალმა უბნიდან ს ვაჭრო 4 დეპუტატის და მათი კანდიდატების არჩევის შესახებ.

✦ **ფერშალთა შორის.** ქუთაისის გუბერნიის ბებია ქალთა და ფერშალთა პროფესიონალური კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს ქალაქის თვითმართველობას რომ თანამდებობაზე ფერშლები არ იქნას მიღებული თუ მათ შესახებ კავშირის განმარტება არ იქნება

✦ **ახალი სტილი.** სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ დაადგინა დაწესებულ იქნეს ახალი საკალენდრო სტილი საქართველოს რესპუბლიკის საეკლესიო და სამოქალაქო ცხოვრებაში გასატარებლად.

✦ **ქუთაისის გუბერნიაში.** 23—31 ივლისამდე მკვლელობა მოხდა 3. დაჭრა 3 ცარცვა გლეჯა—5 და ქალის გატაცება 1.

✦ **მკვლელობა.** 24 ივლისს ქ. სამტრედიაში დანით ყელი გამოსჭრეს ვიღაც უცნობ პირს.

✦ **ინტერნაციონალური რაზმი აფხაზეთში.** საქართველოს მთავრობამ დაადგინა: დაევალოს სამხედრო მინისტრს დ უყონებლივ მოაწყოს აფხაზეთში ინტერნაციონალური რაზმი რომ მხარე დაიცვან.

✦ საღამო ახალ-სენაკში. კვირას 11 აგვისტოს ახალ სენაკში გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო.

✦ **სიმინდის ფქვილი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა უკანასკნელად კოოპერატივებს გადასცა 1356 ფუთი სიმინდის ფქვილი ხალხის დასარიგებლად.

✦ **ქუთაისის ქალაქის სავათმყოფოში** მიტროპოლიტის ანტონ ქუთათელის განკარგულებით, ქრისტიანული წესების შესასრულებლად დაინიშნა ბუაჩიძე.

[illegible]

✦ **ლიკვიდაცია.** სასურსათო სამინისტრო თავის რწმუნებულს გრიგოლიას ატყობინებს, რომ მიიღოს მონაწილეობა ქალაქის სასურსათო კომიტეტის ლიკვიდაციის საქმეში და დააჩქაროს, რომ სასურსათო საქმეები ქალაქის თვით მართველობის ხელში გადავიდეს

✦ **მოცვის ჩაის დასამზადებლად.** სასურსათო სამინისტროს რწმუნებული გრიგოლია იწვევს ყველა დაინტერესებულ პირთ მოცვის ჩაის დამზადების შესახებ მოსალაპარაკებლად. დაინტერესებული პირნი უნდა გამოცხადდენ ყოფილ საგუბერნიო სასურსათო გამგეობის ბინაზე ყოველ დღე.

# გუბერნიის კომისრის მიმართვა სვანებისადმი.

მთავრობა დიდი სიამოვნებით უცქერის თქვენს ერთგულებას და სამშობლოს სიყვარულს. თქვენ არ აჰყევით სამშობლოს და ხალხის მტრებს და არ ღებულობთ მონაწილეობას დემოკრატიულ რესპუბლიკის დამღუპველ გამოსვლებში. იმათ ჯგუფში მონაწილეობას ღებულობენ ძველი წესწყობილების მოსურნე ხალხის მტრები; ყოფილი პოლიციელები და ყაჩაღები და იმათი მიზანია ჩვენი თავისუფლება, რესპუბლიკა და სამშობლო დასამარდეს. იმათ ძველი დროს დაბრუნება უნდათ, რომ ხელახლა ხალხი სცარცვონ და გლიჯონ. იმათ უნდათ მიწების ხალხისათვის გადაცემას ხელი შეუშალონ მშრომელი ხალხი ხელახლა ბორკილებში ჩაჭედონ, ხელახლა ძველი მოხელეების და თავ დაზნაურების უღელ ქვეშ მოაქციონ, ან და თათრები შემოგვისიონ.

სვანებო! თქვენ მუდამ გიყვარდათ თავისუფლება და სამშობლო და ჩვენ იმედი გვაქვს თქვენ ეხლაც დიდ სამსახურს გაუწევთ სამშობლოს და თავისუფლების დაცვის საქმეს. მთავრობის ჯარებმა მეამბოხენი თითქმის ყოველგან დაამარცხა, ეხლა ლეჩხუმისაკენ მოდიან, მაგრამ ალბათ მათ თქვენ წინააღმდეგ არაფერი არა აქვთ, პირიქით ისინი თქვენ ხელს-გიწყობიან. მშვიდობიანი მცხოვრებლები, ვინც უნდა იყოს, ყველას დაიცავს მთავრობა. კერძოთ არც ერთ სვანს იარაღი არ ჩამოერთმევა, ოღონდაც გთხოვთ თქვენ დაეხმაროთ მთავრობის ჯარებს და დააბრუნოთ უკან ის თითო-ოროლა სვანები, რომლებიც ლეჩხუმელ მეამბოხეთ უდგიათ გვერდში. მე იმათ დანაშაულს ვაპატიებ.

შემდეგ გთხოვთ დაიცვათ სრული მეგობრული და ძმური დამოკიდებულება რაჭა ლეჩხუმის მშვიდობიან მცხოვრებლებთან და მეზობელ სოფლებთან. თქვენ შორის შუღლი და მტრობა არ უნდა იყოს.

მთავრობას უნდა ხალხის სამსახური და დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვა გარეშე მტრებისაგან და შინაური მოღალატეებისაგან.

დაეხმარეთ მას ამ საქმეში, მოქალაქენო, მოიხადეთ თქვენი ვალი.

გუბერნიის კომისარი **ჩხიკვიშვილი**

# მასწავლებელთა კურსებზე.

**ბ ნ. კ. კაპანელ-ჭანტურაიას ლექციების შესახებ.**

შთაბეჭდილება.

ლექცია იგივე გაკვეთილია, მხოლოდ განსხვავება ისაა, რომ პირველი მიღებულია უმაღლეს სასწავლებლებში და მეორე საშუალოსა და დაბალში. კარგი გაკვეთილის მიცემა მარტო შინაარსის გადაცემით არ დამთავრდება, მისთვის აუცილებელი საჭიროებაა გარეგნული ფორმა, სული და გული, რომლითაც, ამათუ იმ ლექციას, ან გაკვეთილს გადასცემს თავის მსმენელებს ესა თუ ის ლექტორი. უსიცოცხლოდ, ულიმღამოდ გადაცემული ლექცია, რაც უნდა კარგი და მდიდარი შინაარსის იყოს, მაინც შესაფერ გავლენას ვერ ახდენს მსმენელებზე; მხატვრული სახე და სიცოცხლის ძალა ისე არაფერს არ სჭირდება, როგორც ლექციას და უბრალო გაკვეთილს უნდა. ჩვენი **ლექტორი ბ. ნ. კაპანელი—ჭანტურაია** ფრიად განსხვავებულ პიროვნებას წარმოადგენს ქართველ ლექტორთა შორის. მის ლექციას, რომ არ გინდოდეს მაინც ისმენ, ერთი საათის მაგივრად ორი საათი გინდა უსმინო. რადგან მჭერმეტყველურათ და საუცხოვო მხატვრულის ენით გვისურათებს ცხოვრების და ლიტერატურის სახეებს. მაგალითად მისი ლექცია ვაჟა-ფშაველაზე დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა და საუცხოვო ნეტარებას ჰგრძნობდა მსმენელი. ვაჟა ფშაველას შემოქმედება ისე ნათლად დაგვიხატა ამ მადლიანმა ადამიანმა, რომ ეხლახან მკვდრეთით აღდგომილი საქართველო გვინდოდა მკერდში ჩაგვეკრა, ჩაგვეხუტებია და ჩვენი დღენი და წუთი სოფელი მისი მტრების ასალაგმავად შეგვეწირა. ფუჭია თოფი და ზარბაზანი თუ ამ უსულო იარაღს წინ ბ-ნ კაპანელისთანა ადამიანების სიტყვა არ მიუძღვის. სამშობლოს დასაცავათ. ჩვენი ძველი და ახალი კრიტიკოსები ვაჟა-ფშაველაში უმთავრესად ერთ პროვინციელ მგოსანსა ხედავდენ და ბ—ნმა **კაპანელმა** კი მასში ჩვენ არამც თუ მთელი საქართველოსათვის კელაპტარავით წმიდა და გულმტკივნეული ადამიანი დაგვანახვა, არამედ გენიოსი საკაცობრიო მოღვაწეც... დიდათ ვსწუხვართ, რომ ასეთ საუცხოვო მცოდნეს მშობლიური ლიტერატურის მეცნიერს და ევროპიულად განათლებულს ფრანგული ენის გრამატიკის სწავლება უხდება ერთ ერთ საქართველოს საშუალო სასწავლებელში და დღემდის შესაფერისად ვერ არის ღირსეულად დაფასებული.

**მ. ბუაჩიძე.**

---

შექმნა მისი ცხოვრება და სინამდვილე, და თუ გინდ შექსპირი ყოფილიყოს, ბეკონათ და თუ ქვეყანაზე არ ყოფილიყო შექსპირ ვილიამი, შექსპირი მაინც მარად ცოცხალი იქნებოდა კაცობრიობის შეგნებაში, რადგან კაცობრიობას სურს მისი გაუკვდავება.

საქმე ფაქტში კი არ არის, არამედ ფაქტის შესისხლხორცებაში და შეთვისებაშია.

ნორმანებმა მე-10 საუკუნეში აღმოაჩინეს ამერიკა და იმთავითვე უწოდეს მას „ღვეინის ქვეყანა", მაგრამ ამერიკის პირველად აღმოჩენა კაცობრიობამ მიაწერა კოლუმბს და ის გაბედული რაინდი მეზღვაურები ნორმანები კი დაივიწყებას მისცა.

პროცესი მსოფლიო ისტორიისა, წამებითი პროცესია, შემოქმედებითი ნების განვითარებაში და შემოქმედებითი ნება კაცობრიობისა ჰირვეული და ცელქურია, ვით ცხოვრება.

ქართველმა ერმა თვისი წამებული თვალები მიაპყრო მე-12-ტე საუკუნეს და მოისურვა მისი ოქროს ეპოქათ ქცევა და აქცია კიდეც. რუსთაველი წარმოუდგენელია გარეშე ამა ეპოქისა.—რუსთველი ამ ეპოქაშია და ეს ეპოქა რუსთველში მეტყველებს.

ცხოვრება უსულოთ-ეა ხომ ჩონჩხი იქნებოდა და ოქროს ეპოქა, რომელიმე ერის ისტორიაში უსულო ჩონჩხთ—წარმოუდგენელია. მით უმეტეს, რომ ეს ეპოქა უახლოვდება საზოგადო აღორძინების ეპოქას ევროპაში, რაც გამოიხატა შემოქმედებით მოქანცულობაში და წვაში.

შევადარეთ რა, დანტე რუსთაველს, ჩვენ ვეცადეთ მოგვეცა საზოგადო პრინციპი ფილოსოფიის მხრივ, მათი შემოქმედების ტეხნიკისა და მიუთითეთ ამ პრინციპზე, როგორც ძირიდათ პსიქოლოგიურ მხარეს ფაბულისას „ვეფხის ტყაოსანში" და „ღვთაებრივ კომედიაში", ჩვენ გავხსენით სიმბოლიური ხასიათი რუსთველის პოემის ფაბულისა; მისი ფსიქოლოგიზმი მხატვრულ კონკრეტულობასთან ერთად წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების დასაწყისის ორ ფენომენს: სიყვარულს და შეგნებას.

დანტეს პოემაში ჩვენ ვხედავთ რუსთველის განაწევრებას სიყვარულისა და შეგნების მხრივ.

მაგრამ მასში ეს უფრო სუსტია და ისე მოკვეთილათ ვერ არის გამოხატული, როგორც რუსთველის პოემაში.

დანტეს სული სავსეა ღვთისმეტყველურ რაციონალიზმით და სიყვარულის სტიქია მასში ედუღება რელიგიურ მისტიციზმს. მისი ორგანიული სახე ჩვენთვის შეუმჩნეველი ხდება. ჩვენ ვერ ვხედავთ, თუ რით სუვდიანობს ასე იგი.

ბეატრიჩეს სახე, რაღაც საიდუმლოებით არის მოცული, და დაქსოვილი მრავალ საუკუნოებრივ კაცობრიობის მოქანცულობით, საშუალო საუკუნოების მწუხრიდებში.

ბეატრიჩე რელიგიურ-მისტიური სიმბოლოა და ამიტომაც არი იგი უგრძნობი და ცივი, ისე როგორც მასზე სიყვარულით გაგიჟებული დანტე.

ბეატრიჩე თითქმის პირველადვე ცივად შეხვდა დანტეს.

მიუხედავათ ამისა ბეატრიჩეს, გულციობა უფრო მოქმედობს დანტეზე და უფრო აღრმავებს სიყვარულს მასდამი.

დანტე მისი გულისთვის იტანს ათასგვარ ტანჯვა წამებასა.

დანტეს სიყვარული ბეატრიჩესადმი—დაუსრულებელი პროცესია რხევისა.

რუსთველის სიყვარული სულ სხვაგვარია;

ქალისა და ვაჟის დამოკიდებულობის ყოველი წუთი ცეცხლათ ანთია და იწვის. მათ სიყვარულში შეიგრძნობა მარადიულობა.

ტარიელის სიყვარული ნესტანდარეჯანისადმი ჩვენ გვაგონებს პარისის სიყვარულს—მშვენიერი ელენესადმი: ორივ გმირი სდგას ჩვენ წინ ვეფხვის ტყავებში, და ძალზე მიგვანან ურთიერთს, სტიქია სიყვარულისა ერთგვარათ მოქმედობს ორივეზე.

სიყვარული რუსთაველის პოემაში განუწყვეტელი პროცესია წამებისა და თანტკბილ განცდათა.

დანტე მისტიკი და რაციონალისტია — რუსთაველი მზიანი ელლინელი, პანტეისტი.

დანტეს სიყვარული სულის მოქანცულობაა, ეს წყურვილია გაუკვდავებისა ვნებური აღტყინებაა მოიმოროს ხუნდები და ისწრაფოს უსაზღვრო საიდუმლოების სივრცეში, ცხოვრების აბსოლუტურ სიმშვენიერის იდეით.

რუსთველის სიყვარული—კოსმიური ელვაა მწველ ცეცხლად დანთილი სისხლში და ხორცში და პიროვნების მსოფლიოსთან შემდუღებელი და შემაერთებელი აზრი, რომელიც გრიგალობს ეროტიულ და დიონისიურ სინამდვილით დამთვრალი.

**ლადო მაჭავარიანი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

სწრაფმბეჭდავი სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა გაკიელოვის სახლი, ქუთაისში.